

# ნებარდული

საყვარელო 1766

წელიწადი მეორე



## ქცირე წლოვანთათვის

№ II

0163160

1906



ტცილისი

ელექტრონის სტამა წიგ. გამოშტ. ქართ. აშხაბადისა  
1906



იანვარი

**ნებაღლი**

№ II. 1906 წ. 1 გენერალური მუზეუმის დოკუმენტები

## შინაარსი:

1. ზამთარი.—შ. მღვიმელისა . . . . .	3	5. შობა ღამე. — შარიამ დემუ- რისი . . . . .	17
2. ქურდობა.—თეოფ. კანდელა- კისა . . . . .	5	6. ნ.რევი. — ა) გასართობი. — ბ) ერთ ხადილზე ბევრი ხალ- ხი იყო. — გ) სასწავლებელ- ში. — დ) ოფიციერი და მოხა- სხახურე . . . . .	23
3. ლომი, მელია და მეცხვარი.— ივაევი, ალ. მირიანაშვილისა . . . . .	18	7. ანდაზები და გასართობი — შა- რიამ. — გასართობი. — რეპუსი 25	
4. ლორი და მგელი.—ხალხური ზღაპარი ნ. წინამდებრიშვი- ლისა . . . . .	15		

ამ წლის პირველ იანვრიდან „ნებაღლი“ გამოდის  
ახალის ჩედაშეცილი.

## ხელის მოწვევა შეიძლება:

ჩედაშეცილი და „წერა-კითხების“ განცემულარისა და მ. ი. დემურის  
სახლში აღექს. № 5. ქალაქს გარეთ ჩემის აგენტურისან ბაქუში: ანერა კვანიათან  
და ნ. დეკანოზიშვილთან; ქუთაისში: კოლხიდისა საზოგადოებაში, კნ. ბარბარე  
წერეთლისას და ანნა დადგმელიანთან; ბათუმში: მარიამ ელიაშვილთან, კნ. სოფორ  
ნავაშიძესთან და იასე რაჭელთან; ხეხსემში: კნ. ცერეზია შერვაშიძესთან და ნიკო  
თავდეგიძესთან; ახალციხეში: სეიმინ ხეთისაერაშვილთან; გორიში: თამაზ და  
ნინო ლომაურებთან და კნ. ლენე ერისთავისას; ფოთში: რაյობ ფანქაშვილთან და კნ.  
კლადიმერ სეიმინისძე აბაშიძესთან; ჭიათურაში: იარაღი დეკანოზოვანთან; ხა-  
ნიერეში: ყარაშან ჩხეიძესთან; ერევანში: მარიამ ფავლენიშვილთან.

„ნებაღლის“ შარ შანდელი მთელი წლის  
ნიმუშები იყიდება ს გ მანეთად



## ზამთარი

მეთრად გაუდით ქათქათი  
მთის მოღერებულს ველებსა;  
ძირის გატიტვლებულს ჭალა-ტექს,  
ობლად გაწირულს ველებსა,

გულ-ხელ დაკრეფილს მინდვრებსა,  
ჟაფარ-ჟაფარ სერებსა,  
ბექობებს ამაღლებულებს,  
კურდღლის ეელ-მოსაღერებსა.

ათას გვარ ფრინვლის მაგიერ  
ცაშია-და ვსედაკო ძერებსა;  
მავად და ჟამიან ჭილ-უვავნიც  
დიდრონ კაკლების წევრებსა.

ქარი ვეღარა ნადირობს,  
ვერც შავარდენი შავარდნობს;  
ზაწია მინდვრის ჩიტებზე  
ვეღარი ალალი ნავარდობს.

ზოგი თბილ ქვეწად წასულა,  
ზოგი მახლობელს ტექშია;



აქოთებულთა მუცელი  
სწორედ დიდს განსაცდელშია.

დათვი ჟემბურალა სოროში,  
მოუპეტია მკვიდრებთა;  
მძიერის მუცლით მარტოკა  
მგელი-და დამრჩის მინდვრათა.

როდესაც ქარი დაჭბერავს —  
და მწარედ დაიწუწუნებს,  
კბილო აქაწერწებს საბრალო  
და „ოხერაზე“ \*) წუწუნებს.

თუ სუნი ეცა პირუტევის,  
დგება ჩლიქსა და ჯორებზე,  
გაჲემუის მოსამეულებლად  
სხვა მკლებსაც მაღლა სერებზე. .

ტურების ოჯახობასაც  
მოუმებნიათ ხერელები;  
ჩამძრობლან სოროს დარბაზში  
აგრეთვე ეველა მელები.

არც იმათა აქვთ საწმელი  
ეელ-მუცლის ჩასასველები,  
მოუხვევნიათ ცხვირ-პირზე  
საძილეთ კუდი გმელები...

კარგი სარ ზოგჯერ, ზამთარო,  
მოჲქლავ მერალს ჭია-დუასა,  
მგელს პირს აუკრავ, დათვს ტოტებს,  
მელას ასწავლი ჭექასა.

სან სულა ჭბარგავ ქვეწიდაძ  
ზოგიერთ მელამუასა,  
რომ აღარ ეტანებოდეს  
სხვის თფლით ნამცხარს ეუასა.

ვ. მლეიმელი

(\*) ოხერა—მუცელი.



## ქურდაბა.



ადომ მოიპარა!..

არც ერთი სხვა სიტემით არ გამოითქმის ეს მისი საქციელი. ერველივე სხვა სიტემა—უბრძლო თბეის გამართლება იქნებოდა ..

იმან მოიპარა, ესე იგი მითვისა სხვა კაცის საკუთრება!—მაგრამ ეს „სხვა კაცი“

მდიდარი იყო: ჰქონდა საკუთარი მამული სოფელში, სამ სართულიანი სახლი ქალაქში, დიდი მაღაზია განაღებულ ვაჭრობით, საკუთარი შტრი, ბანკში მენახულ ფული და. . რა გინდა სულო და გულო!. ფულის შეაფი მა დახიაში სავსე ჰქონდა ოქროებით, ცოლა-შვილს ფულუნებით აცხოვერებდა და თავს ვოგობისები დასწრიალებდნენ; ლადო კი ღარიბი დედის შვილი იყო, — მამა აღარა ჰქონდა, — და ამ მდიდრის მაღაზიაში ებარა ნოქრად.

რა დიდი დანაკლისი იქნებოდა ამისთანა შემდებულ კაცისთვის არითად ოქრო? ვის რა ვნებასა და სარალს მის-ცემდა ასე მცირე დანაკლისი?!

მართლია, მაგრამ ეს მაინც ქურდობაა, რადგან იმან მაღულად, დაუკითხავად მითვისა სხვისი ფულები!..

მეტად მაცდელი იყო ქურდობის საგანი, საქიროება მოითხოვდა ამას და რა ექნა, თუ გერ მოითმინა და შესცდა? ფულის შეაფი და იყო, უკრაძი ოქროები ბწევა იალებდნენ,

ციცინათელასავით ანათებდნენ. შინ კი ღარიბ ნოქარს ავადმეოფი დედა უწვდა. დედა მისსა და პატარა და-მმას ისიც კი არ ჰქონდა, არაც აუცილებლად საჭიროა ადამიანისათვის, — პური არსობისა!

როგორ არგებდა ამ დასუსტებულ ავადმეოფს ერთი ჭიქა კახური დგინო! როგორ დანოუირებდა დაუძლეურებულს ერთი ნაჭერი ქათმის ხორცი, რძე, კვერცხი ან ეავა!.. როგორ წამოუწითლებდა უფერულ ლოუებს კარგი საჭმელ-სასტელი? როგორ გასალისდებოდა უსალისო დედა? ფიქრობდა ლაბდო, და ხეროებ ამ ღრის ვაჭარი მეორე ოთხში გავიდა საქმისათვის... ლაბდო კი მარტოებ დარჩა ღია შეაფთან: ვაჭარი აცდევინებდა რაღაც საქმისათვის.

„იქნება დევთის განგებით მოხდა ეს ასე?!

საკმარისი იქო სელი ჩაეეთ უკორამი, ამოედო რამდენიმე ოქრო და მისი ოვანი ფეხზე დადგებოდა; ავადმეოფობით და სიღირისით დაკარგული ბენიერება სელად აჭერადებოდა!. „განა ეს ქურდობა?! არა, ეს მსოლოდ თავისი თავის შეელაბ!“ იყიქრა ლაბდომ და გაბედა მნელი საქმე... ამ ღრის მაღალიას დაჭმიტებს და ის გაიქცა მინისაკენ ჯიბები საჩხორია-ლებული ოქროებით...

ლაბდო პირველად დად სიხარულს გრძნობდა: „ესლა კი მემგელო და გადაედნიერდო“, ფიქრობდა და კი არ მირბოდა, მოურისნდება მინისაკენ!..

ცოტა რომ ვაირა, სადგანდაც სხა მემოესმა: „ქურდი! დაიწით ქურდით!“

ლაბდო შეკრია, გულმა კანკალი დაუწეო, მუსლები მოკეთოდა და ფეხსი გეღარ გადადგა; შებლზე ოვლი დაასხა, თვალთ დაუბნელდა და თავში სელი იტაცა!

რა იქო?! რა მოხდა?! ნუ თუ გაუბეს და იქირენ?

სალხის გვერდზე ჩაურბინა, ვიდამაც სელი ჰქონა და კინა-დაბ გადაჩესეს... ბოლოს სალხი შემოსვეია ვიღაც ბიჭებს, რომ შელიც გაკავებული მოჰქენდა ბოლიციელს გინებით, დაცინვით და მასსარბობით.

— „მე არა, სხვა კოფილბო“, გაიფიქრა ლადომ და თავი უუფლად ამოისუნთქა; გულიდან მმიმე ლოდი მოსწერდა და დამშვიდებული გზას გაუდგა.

ლადომ არ შეადგრა თავისი თავი იმ მაწანწალა ქურდბაცას, რომელიც ღატაკსაც კი გამარცხავს, თუ მოახწოო, უანასკნელ კროშს გამოჰლევს, პირიდან ლუქმას გამოაცლის: ის ხომ ასე არ მოქცეულა? არა, მაგრამ ამ შემთხვევაშ მასიც დიდ საგონებელმა ჩააგდო და ძალას ატანდა თავის თავს, რომ მისი ფიქრი სხვა საგანზე გადასულიყო.

— ქსლა როგორ მოიქცე? რა ვიუდო, რომ დედა ჩემი გავიხარო? დაინო? სიორი? სილი?... მაგრამ... მე... ღარიბს, ამ წანისამოსით რომ შეფალ სავაჭროდ და სელი თქროებს დამინახავს, სიომ ეგელა ეჭვის თვალით შემომსედავს? ვინ მისცა ღარიბს თქროებით, რომ იყიქროს და ხელი მტაცონ, „დაიწით ქურდიო“?

„ეჭ, რა სულელური ფიქრები მომდის! ვის რა დაუა აქვს? განა ჯაჭრისათვის სულ ერთი არ არის, ვინ მისცა მეოდეველს ფული?“

ამ ფიქრში ლადო წაადგა დაინის შარანს, გაჩირალდნ ებულს დუქნებს, მაგრამ ვერ ჭიედავს დუქნები შესკლას, კანკალი მოხდის, თითქო აციებსო!.. თავის დღეში სხვისი კაბეკი არ აუღია და ქსლა ეს ამდენი სხვისი ფული ხელსა ხწვავდა ხაქვერცხალივით!

„არა, ჯერ არას ვიუდი! შინ მივალ, გულს დაკიმმვიდებ და მერე!..“ გადაწევიტა ლადომ და ვაემურა მინისაკენ.

აი თავისი სახლიც.. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს რა მოხდის?! ფეხებს ძლივს მიათრევს, თითქო ბორკილი გაუკრიათო. უქანუქან ეწევა რაღაც ძალა!.. ბოლოს, როგორც იუო, ქაღო ჭრიო...

დედას შეილის დანახვაზე ღიმილი მოუფიდა...

— როგორა ხარ, ღედა-ჯან?

— კარგათ, გენბცვალოს დედა, მაღლიან კარგად! მაუგო  
დედამ დასუსტებულის ხმით.

— სულ ეკრე იძანი, „კარგად, მაღლიან კარგადო“, მაგრამ  
მკონი მატეუბი, დედა ჩემთ? კარგად კი არა, აეგდა სარ! შენ მოვლა  
ბქონირება, დედა, კარგი სასმელ-საჭმელი და მაშინ მორჩხები...  
მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, უკელაბური გმენება! მე მოგარჩენ!

ლადოს თვალები გაუგანიერდა, სახეზე სიწითლებ გადა-  
ჰყრდა. დედა გაუგებორიდ შეცემროდა და უკრის უგდებდა იმის  
სანუკებო სიტევებს... ლადომ უცბად სელი კიბისაკენ გააქანა  
და დედის წინ პატარა მავიღაზე ოქროუბი დაბწეო.

— აი, დედა-ჯან, უკელაბი!.. სულ შენი იყოს... გაასარე! კერ  
ესა და მერე... მერე სხვა იქნება!..

— კინ მოგცა, შვილო, უკელაბი?! კერ სომ კამაგირი  
არა გაქვს!..

აქ ლადოს მოაგონდა დედის სიტევები, როცა პირველად  
მაღდასიამი მიჰებებდა: „შენ იცი, შვილო, თუ მა შემარწხვენ!  
თვალი არაზე წაგიფიდეს, თუნდ ოქროუბი ჩაგ სეან!. შენი ცუდი  
ქცევა წუთისოფელს გამომასალმებსო!..“

მოაგონდა ეს სიტევები და უცბად კინ ჩაუვარდა, ხმა  
შიუწედა, ანთებულ თვალებზე ბინდი გადაეკრა და შიგ შიში  
ესარებოდა!.. დედა უსიტევოდ შესცემროდა, მაგრამ იმის უქმა-  
უოუილო სახე და ჭევიანი თვალები უკელაბურის ამბობენ!.

სად არის ის სისარული და იძედი, ახლად გადაიძებული  
ენერგია, რომელსაც ლადო მოელოდა დედისაგან?! ნაცვლად  
ამისა დედის დაღვრებილ სახეზე ქვეი, შიში და უნდობლობა  
ისაუქმოდა... .

„ქურდი!“ შემოესმა კიდევ ლადოს უკრებს.

— საიდან მესმის ეს ერე სმა?! დედახემი სომ არ მეძ-  
ნის? არა, იმას არა უთქვამს რა!.. სმაც არ ამოუდია!.. მხოლოდ  
რაღაც საძინელი თვალით მიუურებს, თითქო რამე უნდა ამო-  
იკითხოს ჩემს სახეზე!

ლადომ კეღარ გაუძლო დედის თვალებს, წამოხვეტა  
ოქროები, ჩაიგარი ჯიბები და კარებს ეცა.

— დედა, ესლავე მოვალ .. საჭირო საქმე მაქვს!. ამ წუთში  
აქა ვარ!

მიაძახა დედას, გავარდა კარები და პირ და პირ ვაჭრის  
სახლისაკენ გასწია... ჩამოჰქორა ზარი და მოუთმენლად ელოდა  
კარების გადებას. თითო წამი საუკუნედ ეჩვენებოდა; წამ და  
უწუმ ჯიბები ხელს იუოფდა, სრესდა და ვერ გაესრისა თქოს  
უელები, რომლებიც ამბიმებდნენ, ციცსლას უკიდებდნენ მის  
ჯიბესა და ხელებს.

ლადო თითებს იმტკრევდა და თავში უანგარიშო ფიქრები  
უტრისლებდა: ერთი ფიქრი დედისაკენ გაურბოდა, მეორე—  
ვაჭრისაკენ, მესამე—ჰოლიციელისა და ხალხისაკენ.

ამასობაში მოქმდა ფეხის სმა, კარები გაიღო და წინ ვა-  
ჭრის მოსამსახურე გოგო შეუუთა.

— ბატონის ნახეა მინდა, თებრო... მალიან საჭირო საქმე  
მაქვს! ხომ შინ არის?

ქოშინჭბდა ლადო და იწევდა კარებში, სადაც ჩაძგარიუო  
გოგო და არ ჟცლებოდა.

— ესლა არ შეიძლება ბატონის ნახეა... არავის იღებს:  
საქმებია გართული და ცოლ-შვილსაც არ იკარებს სიახლოვეს.  
მიუგო გოგომ.

- არ შეიძლება თუ ესლავე არ ვნახე! მალიან საჩქარო  
საქმეა... ორი სიტყვა მაქვს სათქმელი...  
ლადო, როგორც მალხაზი, ჭევიანი, ბატიოსანი და ენა მეტ-  
ჟელი ბიჭი, ჟელას უჟვარდა. გოგომ სათრით ვეღარ დაი-  
თხოვა და უთხრა: — დაიცა მაძ, ვკითხავ, და თუ მიგიღო, ხომ  
კარგი, თუ არა და მე რა ვქნა!

გოგო წავიდა, ლადო კარებში ჩადგა და ფიქრობდა: რა  
სამესით შესვეროდა ვაჭარს? რა უნდა ეთქა! როგორ გაემა-  
რთლებინა თავი?

არ ვასელა წეთი წამი, რომ იმისი ფიქრები დაარღვია  
გოგოს ხმაშ:

— მოდი, ლადო, ბატონი ვიბრძანებს.

ლადო უეთიანივით შევარდა ვაჭრის ოთახში.

— ამბავი? რამ მიგივვანა ამ დროს?! სომ მშვიდობაა?

— ქურდობა მოხდი, ბატონი, და უნდა გაგაბებინო..

— როგორ თუ ქურდობა?! ვინ გაქურდეს? მე ხომ არა!?

— სწორედ თქვენ... და... ქურდიც აქ არის...

შემინებული ვაჭარი წამოსწრა და თვალებს აქეთ იქითავეთებდა.

— აბა სადა? ვინ არის ქურდი?

— მე.. მე ვარ ქურდი და გთხოვ მაპატიო!. მლიგს წა-  
იდუდუნა ლაბდომ, და, —

როგორც დამნაშავემ,  
თავი ჩაღუნა.


ვაჭარი შეკრთა,  
უკან დაისია და პირ-  
ღია შესცემოდა თა-  
ვის ნოუზის.

ლადომ სელის  
კან გალით ამოიდო  
ჯიბიდან ოქროები და  
დაბწევო მაგიდასე. —  
ამის შემდეგ ლადო  
წელში გაიმართა,  
თითქო მძიმეტვირთი  
მოქსნა ზურგიდანო;

თავისუფლად ამოისუნთქა და გაბედულად დაიწეო ლაპარაკი.

— მიიღეთ თქვენი ფული, რომელიც თქვენი შეგაფის უჯ-  
რიდან ამოვიღე... ხემის უგუნურობით!..

ვაჭარი სელ გამჭერილი, ოქალებ დაჭემტილი, პირდის  
შეჰეურებდა ლადოს და აკვირებდა იმისი გაბედულობა და პა-



ტიოსნება... „პატიოსნება“-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ აბა  
რომელი ქურდი დაუბრუნებდა თავის სელით ნაქურდალს? ვინ  
ატანდა ლაბოს ძალას, რომ ასე მოქცეულიყო? რას, გაიგებდა  
მიღიონის პატრონი ამ დანაკლისს? რა შესტეობა სლვას ორიოდე  
კოვნი წებლი რომ მოაკლო?

— რამ გაგაბეჭდინა, ბიჭო, ქურდობა? რა გაგიჭირდა  
ისეთი? ჰქითხა ბოლოს გაჭარმა.

ნოქარმა მოკრთალებით შესედა გაჭარის და მიუკო:

დედის სიუკარულმა და საცოდაობამ! მაგრამ ვიცი, რომ  
ამ საქციელით იმას სიცოცხლეს მოუქსნობდი, რაღაც სულ იმას  
ჩამისახინებს: „ოქროებშიც რო ჩაგსეან, თვალი არ წაგიფიდეს:  
ქურდობა უგანასკნელი სელობბაო“!

ლაბომ ჰირზე სელები მიიფარა, თვალებიდან ცრეშლის  
ნაკადულმა წამოსეთქა და ქითინი დაიწურა!.. ამ დროს მხარზე  
კედაცის სელი იგრძნო; აისედა მაღლა და გაჭარის დამშვიდე-  
ბული ხესე დაიხასა.

— სოჭი, ლაბო, სოჭი ჟელბური. რამ ჩაგდენინა ასეთი  
საქმე? მითისრ ჟელბური თავისუფლად, დაუყარდება.

ლაბო ცოტა ხანს უოქმნობდა; მაგრამ მაღლე ენა ამოიდგა,  
გაბეჭდებობა მიუც და დაუხატა გაჭარის თავისი თვალის სი-  
ღრძიბე, დედის ავადშეცუფობა და სივა ათასი გაჭირება.

— აი, რამ გამაბეჭდინა ქურდობა. სიმართლეს მოვასნებით  
და ქსლა რაც გინდეთ, მიუგით, თქვენ სელში ვარ!.. დაბსრულა  
ლაბომ და თავშაღუნული გაჭარის განახენს ელოდა.

— ებ უული შენიდა და შენი იუოს! უთხრა გაჭარმა უიქ-  
რის შემდეგ: მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიერა. თუ-  
შემწეობა გინდოდე დარიბს მდიდრისაგან, უნდა გეთქვა შენი  
გაჭირვება და მაძინ ასე ადარ მოხდებოდა.. მაგრამ მე მჯერა  
შენი სიმართლე, მწამი შენი პატიოსნება და გქნდობი. შენ  
ისევ ჩემთან დარჩები. ეს უულები დედა შენს წაუღე, რომ  
თავს უპატრონოს და მაღლე მორჩეს... აიდე რაღა... რატომ  
არ იღებ? არა გვერა ჩემი სიტევები?.. გეუბნები, მიპატიებია-  
მეთქი; რაკი გამოტედი! სინანული პატიოსნების ნიმანია.

ლაბდო გაქვთებული ეკუდა და სმას არ იღებდა. ვაჭარმა  
ბიღო ფულები და სელში ჩაუდო.

— აქა, დაიწი!

რამდენიმდე წამის შემდეგ შენანებული ქურდი შინისაგნ  
მიიჩქაროდ და ქუჩა-ქუჩა სხვა და სხვა რამებს ერგულობდა.

ქსლა მის აღარ აწუხებდა ის ფიქრი, რომ სალხი ეწვის  
თველით შესედავდა... ქსლა ავადმუოფაც დედამაც სხვა თველით  
შესედა და ალერსიანად გაუღიძა. ქსლა მის სახუჭე შიძის  
შევი და საუკედური აღარ ისატებოდა; ქსლა ლაბდოს ეურძი  
აღარავის ჩასმასოდა „ქურდოფო“.

ეს იქო ჰირველი შემოტანილი ფული თვასში შეიღისა-  
ვან და დედას გულძი იმედი ჩაესასა. ის სიუფრულით მოქვიბ  
ძვიდის და წასურნებულა.

— ვინ მოგცა, გენაცალოს დედა, ამდენი ფული?


— ნუ გემინია, დედა, არ მომიშარავს!

— უა, ღმერთო კი მოგალი! როგორ თუ არ მომიშა-  
რავს! უა, დამიდგეს თვალები! რამ გათქმვინა, შეიღო, მბ  
სიტევა?! შენა და ქურდობა?!

ლაბდო მოესვია დედას, დაუკოცნა დამჭერარი ლოუები და  
უთხრა: — ოდონდაც, დედა ვან, ოდონდაც! მე და ქურდობა?!.  
ღმერთმა ნუ ჰქნას!

თეოფ. კანდელაკი.





## ლომი, მელია და მეცხვარე.

იგავი.



ომი ძვად შეიქნა. მელია მიუიდა მისს სანახავად და გულმტკიფეულად მოასექნა:

— მხეცოა მეფე, ჩექნო ბატონო, ვიწვი, ვიდაბეი, რომ შენ ასე მოუძღვრებულს გნედავ! მამიასურე, მიბრძანე, რა გიამება; ოდონდ შენ შევბალხენა მოვეცეს და ერთს წამს; შენს წინაშე გაუჩინელს გავაჩენო.

— ექიმებმა ბატკნის სორცი მირჩიეს, — ამოილედლუდა ლომმა.

მელია სწრაფათ გაქანდა; ცნორის ფარას მიაგნო; ბატკანი გამოიტაცა და მოართვა ლომმს. მაგრამ, დასე მის ბედს: თურმე მეცხვარემ მელიას თვალი შეასწორო; გზაში თოვით ჩასაფრდა და უკან დაბრუნების დროს სტეროცნა და გადააკოტრიალა.

— რად მოძებლ, რა დაგიშავე? ოუ ბატქანს მედავები, — ჩემი ნებით სომ არ მოგიტაცე: ბატონშა დამავალა იმის ბძანებას აბა როგორ გადაიღოდით, — უთხრა შწეებსს მომაკვდავმა მელიამ.



— რა გქნა, — მიუგო მეცხვარებ, — არც მე ვიქცები ჩემის ნებით, — ჩემს ბატონთან პირობითა ვარ მექორელი: რაც ფარას ნადირისაგან ზარალი მიუკვებდა, მოგალე ვარ ჟუწღო და აი ეს შენი ბეჭვიც ბატქნის სახდაუძი უნდა მოგაროვ ბატონსათ.

ალ. მირიანა შვალი.





## ლორი და მკელი

(ხალხური ზღაპარი.)



ეო და ბობ იუორი, ღუოის  
შეტეხი რა იქნებოდა, იუო:  
შაძუი მკელობელი,  
დმერთი ჩვენი მწებლობელი.

იუო ერთი მსუნავი ლორი; თვალი სულ ტეისაკენ ეჭირა,  
სხდაც ერთი მშენერი რკოიანი, მუხა ეგელებოდა, მაგრამ  
ღრი ყერ ესელთა, რომ გამარულიყო; ბატრონს კი, რაღაც  
მიზეზით, იქითგან არ მიჰეავდა. ერთსულ, როცა ლორების  
დევნაში მოდალულს მეღორეს ჩაეძინა, იღროვა მსუნავმა, გა-  
იძარა, მივიდა მუსასთან და რკოს ხარბად ჭამა დაუწეო. ვერ  
კარგად არ გამძღვრიუ, რომ თავს დამშეული მკელი წაადგა  
და შექმა დაუპირა. ლორშა უთხრა:

— მე სახლში საძი შეიღლი მებავს, რომ შემწამო ისინი  
დაობლებიან და შეიძლება ჩქარა დაიხოცნენ.—სჯობს გამიშვი:  
წავალ, დავაძღობ... ამაღამ მოდი, მეც შემწამე და ისინიც.

მკელმა იფიქრი: „ერთის შექმას, ოთხის შექმა არ სჯობი-  
ანო?!“ და ჰქითხს ლორს:

— რა ჰქითხ შენ შეიღლებს?

— მცივანა, თბილანა და მაგარა. — უპასუსა ღორძა.  
ამის შემდეგ გამოეთხოვნენ ერთმანეთს; მგელმა თავის ტუნტები  
მოსმებნა, ღორძა კიდევ საღორისკენ მოჰკურიცხლა, შევიდა, ჩაკეტა  
მაგრად ქარი და შვილებთან თავისუფლად მოისვენა.

შეა ღამისას ქურდ-ბაცაცა მგელი ფეს-აკრეფით შეიპარა  
სოფელი, მივიდა საღორის ქარებთან, ღააკაკუნა და ნელი  
სმით შესძინა:

— მცივანავ, ქარი გამიღე!

— მცივა, მე ვერ გაგიღებ! — გამოსმისა მან.

— თბილანავ! ქარი გამიღე, — სისოდა ასლა მეორუს.

— მლიენ ჩამთბა, სწორედ შენი გულისთვის ავდგები! — მიუ-  
გო თბილანამ.

— მაგარავ, შენ მაინც გამიღე ქარი!

— ქარი მაგრად არის ჩაკეტილი, მე კი სუსტად გახლა-  
ვარ, ვერ გაგიღებ.

— ეს რა ურჩი შვილები გულობა, ღორო! ადექი, ქარი  
გამიღე! — შეუტია ბოლოს ღორის.

— ღორიც შენა ხარ და ღორზედ უარესიც! — გაილანდა ღო-  
რი. — როგორ გაუბედე ჩემ შვილებს ურჩობის დაწამება?! აქედან  
დაიგარე, თორებ გამოვალ და სულ კბილებს ჩაგამტერებ.

მგელმა ცოტაც უცდდა, — იქნებ გაუწერეს ღმერთი და გა-  
მოეოს თავიო, — მაგრამ რადგან სმა არავინ არ გასცა, პირი-  
ჩალა გამოვლებულმა მმაერი მუცლით ტევისკენ გასწიდა.

6. წინამდლერი შვილი





## შობა ღამე.

(გურიუნი ლერს)

**ე**ცდოთხ დეპტერის განთიადი დამკე ნელანელა ფერფლავდა; ძერე უმატა, ხძირი ფერფლი ნაფლეთ-ნაფლეთ თოვლად იქცა და თვალის დახამხამებამდე მიღა ლიონობით მოფრიდლებდა ცირან. ამ დროს ლამასი საჩახავი იქ სოფელ მ—თის დიდებული ბუნება. თოვლი მაღალს მთებს, გენახებსა და სახლებს თეორ ზეწრაო გადაჭიფნოდა, ნაძვისა და ცაცხვის სეებს სადრისავით წამოსხმოდა. ისევ რიტრაეტი იქო, სკიმონმა რომ გამოიდგინა და ცოლს გასძხება.

— დედაგაცო, ჰელლაფერი ჩამიღაგე? აბა, ჩემა, საუზმე მამიშავდე, უნდა ვეცადო ქალაქიდამ საღამოსედვე დავბრუნდე. სუიმონი ღარიბი აშნაური იქო. მამულით გლეხისგან თითქმის

არ გაიოჩეოდა, მაგრამ დიდი მსნე და გამჭრიახი: სან ე  
მემამულისაგან იღებდა ტექს იჯარით, — შემა და საედინებო ფიცია  
ცარი გამოჰქონდა გასასეიდად, — სან მეორესაგან მამული და  
რის წევითა და დაგვით, ინასავდა ცოლ-შეიღლს; სვიმონზედ არა  
ნაკლებ მსნე მაგდანსაც, — მეუღლე იურ სვიმონისა, — მთელის  
წლობით გამოულეუელი ჰქონდა უკუკლივე სანოებები.

— სვიმონ! — რაფენა, გენაცეა, მემინიან, ნიკომ არ ინალვლოს,  
იმისი ღორი რომ მიგეავს გასასეიდათა; სულ უკან დასდევს,  
თვითონ აჭმეუ-ასმევს; ისე ჰებავს შეჩვეული, როგორც კარგი  
ძევობარი. გუშინ რომ გაიგო, მთელს დღეს სტიროდა, კურას  
გზით კედარ დავაჩუმე; მეტად სათუთი ბავშვია, გულში არ  
ჩაიდოს სალველი და, არ დავიღუპოთ!

— კარგი ერთი, თუ დმერთი გრწამს, აგრეც ნუ გააზვი-  
ადებ, გუშინ რომ გამოუცხადე, — შენი ქუცუნა მიმეავს გასას-  
ეიდად, ჩემი ბიჭიკო შეთქი — ცოტათი, მართალია მოიღუძა  
და რამდენიმე ცრემლიც გადმოაგდო, მაგრამ მუსლის დავისვი,  
მიგეალერისე და დაეპირდი, მაღალ ეელიან პრიალა წალებს  
მოკიტან-მეთქი და სასწრაფოდ ცრემლები მოიწმინდა, კალთიდან  
გადმისტა, სიძლერა მორთო. თანაც თუ პატარა სის გოჭს  
ძოუტან, მაშინ სომ სულ აღარ მოიგონებს თავისს ქუცუნასა.  
ბერნია, მამა, მარტო ინდოურებისა და შემის ფასით ვიუიდი,  
ამისთანა სია რომ გაგიჭრელებია? ღორიში უკანასკნელ 15  
მანეთს მაინც მომცემენ.

## II

სოულის პატარა სამ-თველიან სახლის ფანჯარას ორი  
ბავშვი ცხვირა-პირით მოჟერდომოდა და ფანჯრის შეშები ორ  
თქლით მთლად გაებურათ.

— ნიკო, მამა აქამდის რატომ არ მოვიდა?, — ჰყითხა ფლუ-  
ნებ თავის მმასა!

— მე უფროც არ მინდა მამას მოსვლა! რომ იცოდე;  
რამდენი ვიტირე, — შენ ძინ იუავი. — მამამ რომ ჩემი სა-

წეალი ქუცუნა წაიუვანა გასასეიდად; ვაიმე, ვაიმე, როგორ  
მიუვარდა!.. გახსოვს, კუდივით უქან დამდევდა, თითქოს ჩემთვა  
ლიაბარაკიცუკი ესმოდა. მამას მითხრა, ოდონდ ნუ იტირებ და  
ხსვა პატარა ქუცუნას გიძოვით; კიდევ: ისეთს მაღალ უქლი-  
ანს პრიალა წაღებს მოგიტან, რომ იმისთხანა ჭრიაჭუნი არც  
ერთმა წაღებმა არ იცოდესო. ნეტავი, კლო, ჩქარა მაჩვენა  
წაღები.

— მეც წითელს კაბას, ქუდია და სათამმოებს — დამშირდა  
მამა, — უთხრა ელენამა — სისარულით შემოპროწლადა.

ის იუთ ბინდმა მოცეფა სოფელი მ-თი, სკომონი რომ  
თავისის ლურჯათი სახლს მიადგა. ცხენის ჭისვინზედ ელო  
და ნოკო ქიფილ-სიყილით შერდულივით დურეფანში გამოვიდ-  
ნენ და ხან ერთი და ხან მეორე მამას სურგზე ახტებოდნენ.  
ერთმანეთს აღმარ აცდიდნენ ლაპარაკს.

— მამავან, მამა! ეველაფერი მოგეიტანე? წაღები, წინდუ-  
ბი, კაბა, პატარა ქუცუნა!


— დამაცადეთ, დამაცადეთ, თქვე ქავებო, თქვენა! ე ხურ-  
ჯინი ჩამოყასნა.

— კლო, აი, წითლად რომ მოსხანს, შენი კაბაა; ესა ჩე-  
მი წაღებია; ეს რაღა? — უძნებოდა დასა და თან თავისს  
პატარა სულებს სურჯინში ჰეროდე ნიკო.

მოსხნა ხეიმონში სურჯინი და დაიწეო ნასუიდების ამო-  
ლაბება. კლო და ნიკოც პეტრით მოჭესხდომოდნენ, ხარხა-  
რობდნენ და სულების ტბაცუნით ეგებებოდნენ — უოველს ახლად  
ამოღებულს ნიკოს.

— აი, შეიღო ნიკო, შენი წაღები, ჩაცვი, კარგა მოგივა  
მგონი და თანაც წითელი წინდები, და სის პატარა გოჭი  
გადაცხა. აღმარ იცოდა აღტაცებულმა ბავშვმა, რომელი ნიკო  
ავლო პირებულადა. სასწრავოდ ფეხსაცელი გაიძლია, ჩაცვა  
ახალი წაღები და კიბეში სულები ჩაწერილი გამოჭიმული  
ოთახში ბოლოთისა სცემდა.

— ეს კბაც შენ, ჩემთვი ელოვან! ესეც საზამთრო ჭრიდ  
და შენი დარეკან დედოფლიდ! ახლა სოდ მოგრჩით! — ნიტო  
შვილო, ქუდი შენც მოგიტანე!



— მამავან, შენი ჟირიშე, უნდა გაკოცო! მისარიან რომ  
დარეკანი მეაგას! ახლა მე და ნიკოც ვითამაშებთ სოლმე სტუ  
მოობანასა და სხვის დედოფლებსას დაჭარიულოთ... მაგრამ უძ  
ღედას, გაბრწეინვალებული სახე უცბათ მოეღუძა კლოსა და  
ღაბა-ღუპით ცრემლით წამოისცვიდა.

— ძვილო, რა დაგემართა, კენაცვალოს დედა! ხომ არა  
გმრჩინა რა? — ქეკითხა ელდა ნაკრავი დედა.

— კაიძე, დედილო, ხვალ ხომ შობაა და მეკი ასალი კა-  
ბა არ მეცმება!

— ნუ სტირი, დედა გენაცვალოს — დააშოშმინა მაგდანამა, —  
მოელს ღამეს ვავათენებ და კაბას კი მოგისწრობ. მაღვე დაწე-  
ნებ კიდევა ელო და ნიკო, მაგრამ დიდხანს არ დასძინებით.  
იწვნენ ლოგინში და ჩუქად ქურთხულებოდნენ ერთმანეთსა:

— ღმერთო, ღმერთო, ხქარა გამოთენე შობა დღე, რომ  
ასალი წაღები ჩავიცვა! — ნატრობდა ნიკო. — ელიკო, ნასე, აბა,  
ე ქუცუნა სულ ჩემს ქუცუნას ჰერკე, იმისთანა თვალები აქეს  
სწორება! გენაცვალე მამას!

— ნიკო, ნიკო! მემოჰსედე ჩემს დარეჯანს! დაწვება, თვა-  
ლებისა ჭუქუსამს, ადგება ახელას! მართლა, ნიკო, ილოცე, მენი  
ჭირიმე, ღმერთს მეესვენე რომ დედამ კაბა გამითავოს სა-  
ლისათვის, თორუმ მან კიტირებ. შეიძლება განა, შობა დღეს  
ასალი კაბა არ მეცნას?

ამ ღაპარაკში ელოსაც მიეძინა თავის დარეჯანით სელში.  
ნიკომაც ჩუქად აძოჲეთ ხელები და ლოგინში ჩაიწეო: წინდები,  
ქუცუნა და წაღები და ხასტრაფოდ ხერინგა ამოუძვა. სკიმონიც  
მაღვე დაწება, რაკი დაღლილი იყო. მაგდანაკი ღამის სამ საათა-  
მდის წითელ კაბას უკერავდა ელოს. მისი ხქარი სელი უოვე-  
ლოვის ასწობდა უკელატერს. ღილები დაუკრია, ღჰერც ლა-  
მაზად და ელოს ბევრდზედ დაუდო. ირაურაქა თუ არა, ელო  
და ნიკო უესზე იუგნენ უკვე. გახარებული ეცა კაბასა, კერ  
მაგრა ჰერცნა და ჩაიკრა გულში, მერე ჩაიცვა. ნიკოსაც ასა-  
ლი წაღები ჩაეცვა, დაეხურა ქუდი და გახარებული თათხში  
დარბოდა, თან წაღების ჭრაჭუნს უგრებდა უერსა, იცქირებოდა  
ჭედა და სელებს უსკამდა.

— ნიკო, უცქირე ჩემს კაბასა! დავიჩოქებ თუ არა, უაღა  
ეზედ დგება — ჩემს დარევანსაც ამისთანა კაბას შეუძლებელია!

— პეტის, ელო, პეტის, როგორ ჭრაჭუნებს ჩემი წა  
დები?

სრული ბედნიერნი იუგნენ შობა დღეს ჩვენი პატარა ცეკვ  
ქვბი.

მარიამ დემურიასი.



# ნარევი

გამოცემა გადახლილი

ჰატარა მიტო ბავშვებთან ერთად ცალკე საღილობდა და  
წევნით ჭყითხა მამას:

— რატომ არ მაძლევ ნებას, რომ თქვენთან ვისადილო?  
მამამ სიცილით უჰასესა:

— ჩვენთან მამინ ისადილებ, როცა ულფაში ამოვივა.

ჰატარა სანს შემდეგ ბავშვს გატა მიუახლოებდა და მუხლებზე  
გაეხასესა.

გავავრებულმა მიტომ ფეხი ჭერა საწეალ ცხოველს, და  
თან მიაძახა:

— აქ შენ ადგილი არა გაქვს; აგერ, დიდორონებთან მიღი  
სუფრაზედ. ულფაშიანნი იქ არიან.

6. წინ — შვილი.

ერთს სადილზე ბევრი ხალხი იუო, ამიტომ სრულიად  
გადაავიწევდათ სტუმრის ჰატარა ქალი; ორი თავი საჭმლისაგან  
ერთი ბეწვა არა რეგბია რა. ბოლოს შემოიტანეს საინს  
შემწვარი წიწილებით და მის წინ დასდგეს. ჰატარა ქალმა  
რა ნახა, რომ ამისგანაც არას ამღვევნ, დაფშვნა თევშეზედ  
ჰურის გული, მიირანა საინთან და სთქვა:

— „მიბრ! მიბრ! კუკულებო, მობრძანდით ჩემთან თევშეზე!<“

6. წინ — შვილი



## საცხავლებელში.

მასწ. — მითხარი ჰეტო, რატომ ერთს ასოს არ აღმართებინ  
ხაზე და ან არ გადაიტანებ მეორეზე.

მოსწ. — რომ არ მოსწერინდეს მარტო.

5. წინ — შვილი.

## ოციცხი და მოსამსახური

(გაგონილი)

ერთი შეატანის, სმელ-სმელ პირსახის ოფიცერი შევიდა  
სასტუმროში და მოსამსახურეს უბრძანა, სადღლი მოეტანა.


მოსამსახურე ჩვეულებისამებრ ზანტად გაბრუნდა ბრძანების  
ასახულებლად. ცოტა ხანს შემდეგ ცალ-ცელით პური მიართვა, შე-  
ორეთი ხაინით წერი.

— უზრდელო! — მიაძახა ოფიცერმა მოსამსახურეს, — როგორ  
არ იცი, რომ ეველაფერი ხაინით უნდა მოიტანო! წაიღე, —  
უნვენა მან პურზე, — ხაინზე დადე და ისე შემოიტანე, „ეველა-  
ფერი ხაინით უნდა მოიტანო“, გაიფიქრა მოსამსახურემ და  
ბრძანების ასახულებლად გაბრუნდა. იმ დამეს ოფიცერი ხა-  
სტუმროში დარჩა. მეორე დიღას მოსამსახურეს ჩექმები მისცა  
გასაწმენდად. წაიღო, გაწმინდა, ხაინზე დაბწერ და ისე მია-  
რთვა.

ესლა სომ ვეღარ დამემდურება: ემელაფერი ხაინით მიმა-  
ქს, — ფიქრობდა მოსამსახურე. ოფიცერი ვერ გაწერა, ხოლო  
შემდეგ სიცილი აუტედა.

8. კინწურა შვილი.





### შარადები.

ჰილგელია ფრინველთ სახლი,  
მეორე კი ცუდი გრძნობა;  
ორივ ქრთად საჭმელია.  
ადგილია გამოცნობა.

თავის ნაწილი მონახე,  
მოუსვი ასოს სახელი.  
თუ დაფიქრდები, გაიგებ,  
გამოვა ფეხის საცმელი.

### გამოცანა


მიწაში დაყიბადე,  
ცეცხლში მოვინათლე,  
წეალში ჩავიარდი  
მთლად დაუიკარგე.

თუ ბედგები,  
ცას ავწვდები.

სუთი სარი  
ერთის გუთნითა ჭინავს.

უსელოდა და უცულოდ,  
არს სახლი აძენებული.

## ကျော်များ၊ နှေ့များ နှင့် အသိပေါ်များ



မာရာစွဲ၊ အသိပေါ်များ၊ လှုပ်များ၊ ဖြုပ်များ၊ စာမျက်နှာများ၊

ဂာမြေဖြေများ၊ အသိပေါ်များ၊ ပြန်လည်ပေါ်များ၊

လျှော်ချောင်း၊ မာရာစွဲ၊ ကျော်များ၊ နှေ့များ၊ အသိပေါ်များ၊  
ဂာမြေဖြေများ၊ စာမျက်နှာများ၊ လှုပ်များ၊ ဖြုပ်များ၊ မာရာစွဲ၊

